საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/22 **21/08/2023**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს
პროფესიული განვითარების საბჭოს

რეკომენდაცია უწყვეტი სამედიცინო განათლების მოდულზე

ა(ა)იპ „საქართველოს დიალიზის, ნეფროლოგიისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის კავშირის“ 2023 წლის 30-31 აგვისტოს დაგეგმილი კონფერენცია **„თირკმლის ქრონიკული დაავადება: რა უნდა იცოდეს ოჯახის ექიმმა?“** გამიზნულია საქართველოში თირკმლის ქრონიკული დაავადების მართვაში, პირველადი ჯანდაცვის რგოლის ფუნქციის გაძლიერებისაკენ.

წლების განმავლობაში ეს კონცეფცია ძალზედ აქტუალურია და მის ეფექტიან განხორციელებას ესაჭიროება აღნიშნული სისტემის სამედიცინო პერსონალის პროფესიონალიზმის ხარისხის მუდმივი ზრდა.

კონფერენციის თემატიკა მიზანმიმართულად პასუხობს ამ მოთხოვნას. ის ხელს შეუწყობს ოჯახის ექიმების ცოდნის გაფართოებას ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის ირგვლივ, როგორიცაა თირკმლის ქრონიკული დაავადება.

თირკმლის ქრონიკული დაავადება ნათლად აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიკვდილობის ინდიკატორებში როგორც საქართველოში, ასევე, გლობალური მასშტაბით. ამდენად, ამ დაავადების დროული იდენტიფიკაცია და მის მიმართ სწორი პრევენციული კონტროლის განხორციელება, მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამ პროცესის ეფექტიანი მართვა, მრავალ პაციენტს ააცილებს თავიდან, დიალიზსა თუ თირკმლის ტრანსპლანტაციას.

ა(ა)იპ„საქართველოს დიალიზის, ნეფროლოგიისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის

კავშირის“ მიერ წარმოდგენილი 2023 წლის 2023 წლის 30-31 აგვისტოს კონფერენცია სრულ შესაბამისობაშია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 19 ივლისის ბრძანებით №01-3/ნ „უწყვეტი სამედიცინო განათლების ცალკეული ფორმების და მათი აკრედიტაციის წესისა და კრიტერიუმების, ასევე, პროფესიული რეაბილიტაციის წესის, შესაბამისი პროგრამების/კურსების აკრედიტაციის წესისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი ასოციაცია მხარს უჭერს დაგეგმილი კონფერენციის ჩატარებას და რეკომენდაციას უწევს ა(ა)იპ „საქართველოს დიალიზის, ნეფროლოგიისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის კავშირს“ მოხდეს მათი აკრედიტაცია და კრედიტ-ქულების მინიჭება ჯანდაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ.

ირინა ქაროსანიძე

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა

კავშირის პრეზიდენტი

Irine Karosanidze 01030002617

Digitally signed by Irine Karosanidze
Date: 2023.08.21 16:42:23